



შირაკი


SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს პენიცილინის გზაზე

№24 (9.884)
6 - 13 ივლისი 2019 წელი
ფასი: 50 თეთრი
ჟორჯიანული გამოცემა

World Health Organization #NoTobacco

არ მისცე თაბაკას უფლება
შემიზღუდოს სუნთქვა!



ბავშვებს, რომლებიც თაბაკას მეორად კვამლს
ჩაისუნთქავენ, ასთმა და მწვავე და ხშირი
ასთმური შეტევების განვითარების გაცილებით
მეტი რისკი აქვთ.

აღოგა 2019

გვ. 3



„112“-ის
საფასური აღარ
ჩამოგეჭრებათ

გვ. 2



საქართველოს
დონალდ
ტრამპი და
რამდენიმე
ქვეყნის
მადლი
თანამდებობის
პირი აწვავს
გვ. 2

ყურადღება!

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის“ ინფორმაციით, დებეტის სიმციროსა და წყალმომარაგების ქსელში წნევის მომატების მიზნით, კვირაში ერთ დღეს-ხუთშაბათს აბონენტებს წყალმომარაგება შეუწყდება, სხვა დღეებში კი არსებული გრაფიკი შენარჩუნდება. როგორც სერვის ცენტრის ხელმძღვანელი ნოდარ ფიროსმანაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აცხადებს, გვალვის გამო წყლის დონემ სათავეებზეც დაიკლო, ამიტომ წყალმომარაგების შეზღუდვა მათ იძულებით მოუხდათ. როგორც ის აცხადებს, პრობლემურ უბნებზე მოსახლეობას წყალს წყალმზიდებით მიანვდიან და ერთი დღის წყლის დეფიციტს ასე შეავსებენ. კითხვაზე, როდის მოიხსნება წყალზე შეზღუდვა, ნოდარ ფიროსმანაშვილი ზუსტ დროს ვერ ასახელებს: -კონკრეტული პასუხის გაცემა რთულია, რადგან ეს დამოკიდებულია იმაზე, როდის მოიმატებს წყლის დონე სათავეებსა და წყაროებზე.

ჩექ-ინ-ჯორჯია – მირზაანში



გვ. 8

მიხეილ გიორგაძე მინისტრის მოადგილის თანამდებობას ტოვებს

მიხეილ გიორგაძე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის თანამდებობას ტოვებს, - ამის შესახებ მან ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა.

მისივე თქმით, დროა ადგილი ახალ ადამიანებს, ახალ ენერჯიას დაუთმოს.

„მსურს ჩემთვის მნიშვნელოვანი გადწყვეტილებების შესახებ გაცნობოთ. იცით, რომ 5 წლის წინ დაიკავე კულტურის მინისტრის თანამდებობა და ამ ხნის განმავლობაში ჩემი ენერჯია, ცოდნა და გამოცდილება ჩვენი ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროს დავეთვე. შემდეგ შემოგვიერთდა ასევე უმნიშვნელოვანესი - სპორტის სფერო და მეამაყება, რომ ამ მიმართულებითაც ბევრ და დიდ წარმატებას მივაღწიეთ! დღეს კი მივიღე გადაწყვეტილება, დავეთვო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა და კერძო სექტორში დავბრუნდები. ვფიქრობ, 5 წელი ამხელა პასუხისმგებლობის თანამდებობაზე არის სრულიად საკმარისი, რომ მაქსიმალური რესურსი ჩადო შენს საქმეში და დადო ის შედეგი, რომლის მიღწევაც შეეძლო. ასევე, დროა ადგილი ახალ ადამიანებს, ახალ ენერჯიას დავეთვო. მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო კულტურისა და სპორტის სფეროში მოღვაწე ადამიანებს, ჩვენს გუნდს, ჩემს კოლეგებს, თითოეულ იმ პროფესიონალს, ვისთან ერთადაც ამ წლების განმავლობაში ვმუშაობდი! სადაც არ უნდა ვიყო, მე ყოველთვის დავრჩები ამ გუნდის ერთგულ წევრად, რადგან მიმაჩნია, რომ ის გეზი, რომელიც ავირჩიეთ არის სწორი და, სირთულეების მიუხედავად, მიღწევადი. კიდევ ერთხელ ყველას დიდი მადლობა! გისურვებთ წარმატებებს!“ - ნათქვამია მიხეილ გიორგაძის განცხადებაში.

საქართველოს დონალდ ტრამპი და რამდენიმე ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირი ეწვევა

საქართველოს ევროპის საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ეწვევა. ტრამპი საქართველოში საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ ფარგლებში ჩამოვა, რომელიც ბათუმში მიმდინარე წლის 11-12 ივლისს გაიმართება. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კონფერენციაზე, რომელიც „ალმოსავლეთ პარტნიორობის“ 10 წლის იუბილეს ეძღვნება, მონაწილეებს სიტყვით მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, ასევე საქართველოს მთავრობის წევრები.

კონფერენციის მაღალი დონის მონაწილეთა შორის, ასევე, არიან ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დრეზო და კრიზისების მართვის საკითხებში ქრისტოს სტილიანიდესი, ესტონეთის პრემიერ-მინისტრი იური რაბასი, პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრები - იაცეკ ჩაპუტოვიჩი და მარგოტ ვალსტრომი, ბულგარეთის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ეკატერინა ზაჰარიევა, უკრაინის პირველი ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრი სტეფან კუბივი, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აჰმედ მამად-გულიევი, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზოჰრაბ მნაცაკანიანი, სერბეთის ევროინტეგრაციის მინისტრი იადრანკა იოქსიმოვიჩი, სლოვაკეთის ევროპულ და საგარეო საქმეთა მინისტრი მიროსლავ ლაიჩაკი, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიტერ სიიარტო, ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტომაშ პეტრშიჩეკი, გერმანიის ევროპულ საქმეთა სახელმწიფო მინისტრი მიხაელ როტი, მოლდოვის საგარეო საქმეთა და ევროპული ინტეგრაციის სახელმწიფო მდივანი დანიელა მორარი, ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სოკოლ დედა, ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვევენი შესტაკოვი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი აუდუნ შალვორსენი, გერმანიის ბუნდესგაგის ვიცე-სპიკერი კლაუდია როტი, რუმინეთის დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტი ფლორინ იორდაჩე, შვედეთის სამეფოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი კერსტინ ლუნდგრენი.

საქართველო კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება როგორც აღმასრულებელი ხელი-სუფლების, ასევე საკანონმდებლო ორგანოს უმაღლეს დონეზე.

საპენსიო სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს

საპენსიო სააგენტოს ყველა მომხმარებელს ვაფრთხილებთ, რომ მხოლოდ პენსიონს.გე-ით ისარგებლოს. ამის შესახებ „ბიზნესპრენიუსს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა მაგდა კოტრიკაძემ განუცხადა.

ბოლო პერიოდში ინტერნეტში საპენსიო სააგენტოს სახელით და ლოგოთი ყალბი ექსპუნტი ვრცელდება, რომელიც დანაზოგის შემომწმებას გთავაზობს. აპლიკაციაზე გადასვლის შემთხვევაში საბანკო ანგარიშის შეყვანას ითხოვს.

„გვერდის იდენტიფიცირებისთანავე მივმართეთ ძალოვან სტრუქტურებს წერილობით და ასევე ყველა მომხმარებელს ინბოქსში და გვერდზე მივწერეთ ინსტრუქცია, ასევე მივუთითეთ ჩვენი გვერდის მისამართი და გავაფრთხილეთ რომ ეს თაღლითური სქემაა. საპენსიო სააგენტოს ყველა მომხმარებელს აფრთხილებს, რომ მხოლოდ პენსიონს.გე-ით ისარგებლოს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ იცოდეს,

საპენსიო სააგენტოს გვერდიდან რეგისტრაციისათვის ან პერსონალურ გვერდზე შესასვლელად არ არის საჭირო ბარათის და ანგარიშის ნომერი. სააგენტოს გვერდზე მომხმარებელს მხოლოდ პირადი ნომერი და პერსონალური კოდი შეყავს.“ — განაცხადა კოტრიკაძემ.

ყვარელში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო ამოქმედდა

კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო „ჯორჯიაზ ნეიჩრლი“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

წარმოების პროცესს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან, ირაკლი ქადაგიშვილთან და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, პაატა შეყელაძესთან ერთად გაეცნო.

„მთავრობის მიერ განხორციელებული აგრარული დარგის განვითარების მხარდაჭერის პროგრამები, რომლის ფარგლებშიც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 190-ზე მეტი საწარმო შეიქმნა, არის წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული. ის სტანდარტი, რომელიც საწარმოში „ჯორჯიაზ ნეიჩრლი“ არის დანერგული, ადასტურებს ჩვენს მიერ გაცხადებულ პოლიტიკას, ვიყოთ მაღალ ხარისხზე ორიენტირებული და ადგილი დავიმკვიდროთ მსოფლიო ბაზრებზე“, - განაცხადა გიორგი ხანიშვილმა.

„ჯორჯიაზ ნეიჩრლის“ ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელ მეურნეობაში წლიურად 4,000 ტონა ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება შესაძლებელია, ამჟამად წარმოებული პროდუქცია საექსპორტო ბაზრებისთვის არის განკუთვნილი. საწარმოში დასაქმებულია 25 ადამიანი. კომპანია „გადამამუშავებელი და შემწვარი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ბენეფიციარია. საწარმოში ჯამურად 2,808,920 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 630,200 ლარი გრანტია, ხოლო 1,252,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დაინერგა სტანდარტი IFS 22:000. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ორგანული წარმოების სტანდარტის დანერგვა და 2019 წლის აგვისტოში კომპანია დარეგისტრირდება როგორც „ორგანული პროდუქციის გადამამუშავებელი“ საწარმო.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით 200 ახალი საწარმოს შექმნა დაფინანსდა. სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მენარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა, წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს არაერთ პროექტსა და პროგრამას, რომლებიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მათი მიზანია სოფლად ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

„112“-ის საფასური აღარ ჩამოგეჭრებათ - სასამართლომ გადასახადი არაკონსტიტუციურად სცნო

საკონსტიტუციო სასამართლომ „112“-ის საფასური, რომელიც ყოველთვიურად ფიზიკური პირისთვის 0.20 ლარს, ხოლო იურიდიული პირისთვის, ორგანიზაციისთვის და დაწესებულებისთვის 0.50 ლარს შეადგენდა, არაკონსტიტუციურად სცნო. ამის შესახებ ინფორმაციას საკონსტიტუციო სასამართლო ავრცელებს.

მოსარჩელე მხარე ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ იყო, რომელიც მიიჩნევდა, რომ აბონენტებისთვის „112“-ის მომსახურების საფასურის მისი ნების მიუხედავად დაკისრება საკუთრების უფლებას არღვევდა.

ამავე დროს, საკუთრების უფლებაში ჩარევა ხორციელდებოდა არა კანონის, არამედ მთავრობის დადგენილების საფუძველზე, რაც ფორმალურად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მოთხოვნებს. გარდა ამისა, „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ მიუთითებდა, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ „112“-ის საფასურის განსხვავებული ტარიფის არსებობას არ გააჩნდა ობიექტური საფუძველი და დისკრიმინაციული იყო.

„მოპასუხის პოზიციით, „112“ უზრუნველყოფს კოორდინაციას სასწრაფო დახმარებასთან, პოლიციასთან და სახანძრო სამსახურთან, ხოლო დაწესებული საფასური კი ემსახურებოდა „112“-ის

ხარჯების ანაზღაურებას და მისი სერვისის თითოეული აბონენტისთვის ხელმისაწვდომობას. მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ კანონმდებელმა „112“-ის სპეციფიკური საჭიროებიდან გამომდინარე, საფასურის განსაზღვრის უფლებამოსილება მიანიჭა საქართველოს მთავრობას, რაც შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „112“-ის საფასურის გადახდის სატელეფონო აბონენტებისათვის დაკისრება ემსახურება „112“-ის ხარჯების და მის მიერ განეული მომსახურების ანაზღაურებას. ამავე დროს, საფასურის გადახდის სანაცვლოდ მიღებული სარგებელი არის არა აბონენტის მიერ უშუალოდ „112“-ში საგანგებო შემთხვევის შესახებ შეტყობინების გაკეთება, არამედ ასეთი შეტყობინების გაკეთების შესაძლებლობის არსებობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, სადავო ნორმებით გათვალისწინებული „112“-ის საფასური განეკუთვნება კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოსაკრებლებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსაკრებლის სტრუქტურის და შემოღების წესის, მისი განაკვეთების ან განაკვეთის ფარგლების დადგენა მხოლოდ კანონით

დაიშვება, რაც გამორიცხავს საქართველოს პარლამენტის მიერ ამ უფლებამოსილების მთავრობაზე დელეგირებას. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმები განსაზღვრავდა მოსაკრებლის გადახდელ სუბიექტებს და მოსაკრებლის განაკვეთს და ამდენად, აღნიშნული საკითხის მოწესრიგების კონსტიტუციური უფლებამოსილება საქართველოს მთავრობას არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო.

ამავე დროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობის შედეგად „112“ დაკარგავდა დაფინანსების ძირითად წყაროს, რასაც შესაძლოა, საფრთხე შეექმნა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესებისათვის. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 31 დეკემბრამდე გადაავადა სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება, რათა საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას მიეცეთ გონივრული შესაძლებლობა, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოანესრიგონ აღნიშნული დავის საგანი:

ა) საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში - „საქართველოს შინაგან საქ-

მეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის — „112“ ის მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით;

ბ) „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფის“ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში - „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის — „112“ ის მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით და ამავე წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით“, - აღნიშნულია დადგენილებაში.

ალოობა 2019

დედოფლისწყაროში ალოობა აქტიურ ფაზაშია. სოფლისა და ქარის კულტურა შირაქის, ალაზნისა და ტარიზანის ტერიტორიაზე 36 000 ჰექტარზეა დათესილი, საიდანაც, ზამთრში, 120 000 ტონა მოსავალს ელიან. როგორც ადგილობრივი ფერმერები აცხადებენ, წლებიდან წელი გვაქვს ზამთრის გამო, შირაქის ველი კარგი მოსავლით ვერ დაიკავებს. უამინდობას მიწის ტარების მომრავლებაც დაემატა, რომელმაც მარცვლეული კულტურები საგრძნობლად დააზიანა.

ზურაბ თეთვაძემ, ფერმერი: „გასული წელი ბევრად უხვმოსავლიანი იყო. ამიტომ შარშანდელი ალოობაც ბევრად სჯობდა წლებს. წლებიდან მოსავალი 1 ტონით, ანდა ტონანახევრით

ფასი კიდევ მოიმატებს. მწირი მოსავლისა და ელექტრომატარებლების გაძვირების პირობებში, მარცვლეული კულტურების ამ ფასად გაყიდვა, თვითღირებულებასაც ვერ აანაზღაურებს. ისინი ბენზინგასამართი სადგურის ტაბლოსკენ მიმითითებენ და ამბობენ, რომ დიზელის სანავის ფასმა ბენზინს გაუსწრო. „სანავის გაძვირება 1 ჰა მიწის ნაკვეთის დამუშავებას კიდევ უფრო აძვირებს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ კომბაინისა და ტრანსპორტის მომსახურების ხარჯიც იზრდება. თუ ხორბალზე ფასმა არ მოიმატა, გამოდის, რომ მიწის დამუშავებას მომავალი წლისთვის ვეღარ შევძლებთ. როგორც გაჭირვებული კაცი ეჭიდება ხაფხუფს, ისე ველოდებით ხორბალზე ფასის მომატებას“-აცხადებენ გლეხები.

წინა წლებში, სერიოზულ პრობლემას



დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ბიორბი სანიშვილმა, რომელიც მიმდინარე სამუშაო პროცესს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაეცნო და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანინაშვილი დადებითად აფასებს ალოობის პროცესს და აღნიშნავს, რომ მოსავლის ალბათობა და დაზიანება დროულად და უდანაკარგოდ ხდება.

ნათეს ფართობებზე მოსავლის აღების პროცესში აქტიურადაა ჩართული საქართველოს გარემოს დაცვისა და

ლი კომბაინია მობილიზებული; აქედან დედოფლისწყაროს სერვისცენტრში 45, ხოლო გურჯაანის სერვისცენტრში 58 ერთეული, რომლებიც სრული დატვირთვით მუშაობს, რათა მოსავლის ალბათობა აგროვადების დაცვით მოხდეს.

ამ ეტაპზე, კახეთის რეგიონში „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“ უკვე აღებული აქვს 6500 ჰექტარზე დათესილი თავთავიანი კულტურის მოსავალი; აქედან, 2300 ჰექტარზე ქერი და 4200 ჰექტარზე ხორბალი.

ხორბლის ალბის პროცესს სოფლისა



ნაკლებია შარშანდელ საპექტარო მოსავლიანობაზე“.

ამავე ტენდენციაზე საუბრობენ ის მინათმოქმედებიც, რომლებიც მიწის მცირე ნაკვეთებს ფლობენ. როგორც ისინი აცხადებენ, წლებიდან წელი უნაღველო ზამთარმა და გვალვიანმა გაზაფხულმა, წინა წლების უხვმოსავლიანობასა და მათ იმედს წერტილი ერთად დაუსვა. გიორგი უკვე დიდი ხანია, რაც მინათმოქმედებითაა დაკავებული. მისი ერთადერთი მარჩენალიც მიწაა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურად ბევრჯერ გაუჭირდა, მიწა გასაყიდად მაინც ვერ გაიმეტა. თუმ-

წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაკლებობა. ამის გამო ფერმერები დროულად მოსავლის აღებასა და დაზიანებას ვერ ახერხებდნენ. ამას წლებიდან წელიწადში ნამდვილად ვეღარ ვიცივით. როგორც ფერმერები აღნიშნავენ, მოსავლის აღებისას რიგში დგომა წელს აღარავის უწევს. შპს „მექანიზატორმა“ საჭირო რაოდენობის კომბაინები შეიძინა და ეს პრობლემა წარსულში დარჩა.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო პროგრამები, რომლებსაც ვახორციელებთ, წარმატებულია. სასო-



სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“.

„სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“, 2018 წელს, გარემო პირობებზე ადაპტირებული 30 ერთეული მარცვლეულის ამლები ახალი კომბაინი შეიძინა, რითაც გასულ წლებში მოსავლის აღებასთან დაკავშირებული შეფერხებების პრობლემა გადაიჭრა.

კახეთში, დღეისათვის, 103 ერთეუ-

და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორი პაატა შიქაშვილმა, კახეთის სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ქალაბიშვილი, შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ გენერალური დირექტორი მურთაზ ყიფინანი, პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი შიოლაშვილი და ადგილობრივი ფერმერები ესწრებოდნენ.

ინგა შიოლაშვილი



ცა, წელს მანაც უმტყუნა. „წელს არც მოსავალი ვარდა. გვალვის გარდა, ჩემს ყანას ბზუალაც გაუჩნდა, რომელმაც მოსავალი გამინანაგა. ჰექტარზე 1 ტონა ხორბალი ძლივს ავიღე“-გულდაწყვეტილი საუბრობს ის.

სამამულო წარმოების თავთავიანი კულტურების დეფიციტის გამო მათზე მოთხოვნა და ფასი გაიზარდა. თუ წინა წლებში 1 კგ. ხორბლის ფასი 40-დან 45 თეთრამდე მერყეობდა, წელს 1 კგ ხორბლის ფასი 55 თეთრით განისაზღვრა. თუმცა, როგორც გლეხები ამბობენ, გაყიდვას არავინ ჩქარობს. მიზეზი მარტივია- მინათმოქმედები ფიქრობენ, რომ მისი

ფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 50%-იანი თანადაფინანსებით, ფერმერებს საშუალება მიეცემა ტექნიკა შეეძინათ. გარდა ამისა, გასულ წელს შეეძინათ 30 ერთეული კომბაინი; სამუშაო პროცესში ამ ტექნიკის ჩართულობის შედეგად, რომ შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს ალოობა. წარმატებით დამთავრდა მოსავლის აღება ალაზანზე, მიმდინარეობს შირაქში და გაგრძელდება ქართლში. ფერმერები კმაყოფილი არიან; თითოეულმა მათგანმა იცის, რომ სახელმწიფო პროგრამები მათ წარმატებაზეა ორიენტირებული“, - განაცხადა გარემოს



„სამი დაავადება, ერთი პაციენტი“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 1 და 2 ივლისს, პილოტური პროექტის „ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის პირველადი ჯანდაცვაში ინტეგრირებული სკრინინგის“ ფარგლებში პირველადი ჯანდაცვის ექიმებისა და ექთნებისთვის ტრენინგ-სემინარი გაიმართა. პილოტური პროექტის მიზანია პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლების როლის გაზრდა C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ადრეულ გამოვლენასა და პრევენციაში. პროექტის ამოცანებია:

*სამივე დაავადების მიმართ ცნობიერების ამაღლება მონაწილე მხარეებსა და ზოგად მოსახლეობაში;

*C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის ეფექტური ინტეგრაციისთვის მდგრადი სახელმწიფო-ადგილობრივი თვითმმართველობების - კერძო და საერთაშორისო პარტნიორების განვითარება;

*პირველადი ჯანდაცვის ქსელისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების გაძლიერება C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის სკრინინგის ინტეგრირებული მოდელის დანერგვით, დეტალური პროტოკოლის გამოყენებით;

*რეგიონულ დონეზე მომსახურების მიმწოდებელთა გეოგრაფიული განაწილების აღრიცხვა და სპეციალიზებულ კლინიკებში ეფექტიანი რეფერალის სისტემის დანერგვა;

*მომსახურების მიმწოდებელთა შესაძლებლობების განვითარება და მომსახურების ხარისხის მონიტორინგში მონაწილე მხარეთა ჩართულობის გაზრდა;

*ქვეყნის მასშტაბით პროგრამის გაფართოების მიზნით მტკიცებულებებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება.

გლობალური ფონდის მხარდაჭერით შემუშავდა „პირველადი ჯანდაცვის დონეზე C ჰეპატიტზე, აივ/შიდსსა და

ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის პროტოკოლი“, რომლის მიხედვითაც ტრენინგ-სემინარი ორ ჯგუფად ჩაუტარდა 24 ექიმსა და ექთანს.

ცნობილია, რომ საქართველოში გადამდები დაავადებები გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის უმეტესი ტვირთი განპირობებულია C ჰეპატიტით, აივ/შიდსითა და ტუბერკულოზით. უნივერსალური ხელმისაწვდომობა სერვისებზე უზრუნველყოფილია დონორული და სახელმწიფო დაფინანსების შემდეგი პროექტების ფარგლებში:

- C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამა;
- აივ/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამა;
- ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა;
- გლობალური ფონდის ტუბერკულოზის და აივ/შიდსის პროგრამები;

„ამ გამოკვლევების შედეგები სრულიად ანონიმური და დაფარული იქნება. არავის ეცოდინება ექიმის გარდა. კანონის დონეზე იკრძალება შედეგების გამხელა სხვა პირისთვის. ამის გამო ექიმი შეიძლება სამართლებრივ პასუხისგებაშიც მიეცეს. ამ სემინარს ატარებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. გამოკვლევები ჩატარდება 18 წლიდან და ზემოთ მოსახლეობაში. კვლევის ხანგრძლივობაა ორი წელი. პროექტში ძირითადად ოჯახის (უბნის) ექიმები არიან ჩართულები, რადგან მათ აქვთ სოფლის მოსახლეობასთან შეხება და ყველაზე უკეთ იციან თავიანთი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. რაც ყველაზე მთავარია, გამოკვლევა არის სრულიად უფასო. ჩართული ექიმების დაფინანსება ყო-



ველ ტესტირებულ პირზე დაფინანსებულია გარკვეული თანხის ოდენობით, რაც ქმნის ექიმებისთვის ეკონომიკური დაინტერესების საფუძველსაც“. - აცხადებს გაზეთ „მირაქთან“ საუბარში დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მერიეტა ბონაშვილი. კითხვაზე, თუ როგორ და რა სახით ჩატარდება გამოკვლევები თითოეულ დაავადებაზე და რა თანხებია გამოყოფილი კვლევებისთვის, ქალბატონი მარიეტა გვაპსუხობს: „თუ მოხდება სამივე დაავადების გამოკვლევა, ექიმი C ჰეპატიტის და აივ/შიდსის კვლევისთვის იყენებს სწრაფ ტესტს, ხოლო ტუბერკულოზის გამოკვლევა მოხდება სპეციალური კითხვარის საშუალებით. ჩვენს რაიონში მთლიანი მოსახლეობა შეადგენს 20000-ს, მაგრამ ჩვენ ვიკვლევთ 18 წლის ზემოთ მოსახლეობას, რაც დაახლოებით 16000-17000 ადამიანია. ამ რაოდენობაზე, ყველას გამოსაკვლევად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან გამოყოფილია 20000 ლარი, რომლიდანაც

10000 ლარი წელს უნდა ავითვისოთ და 10000 მომავალ წელს. ეს არის სამთავრობო დონეზე ორგანიზებული საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ გვექონდა შეხვედრები გუბერნატორთან, სადაც იყენება მუნიციპალიტეტის მერები, რის შემდეგაც უკვე მოხდა საკითხის გატანა და გამოიყო შესაბამისი თანხა“.

პირველადი ჯანდაცვის მუშაკებთან ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ, გამოკვლევები აქტიურად დაიწყება. პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის სამივე დაავადების სკრინინგით მოცვას, ხელს შეუწყობს პირველადი ჯანდაცვის როლის გაძლიერებას და რეფერალის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ აისახება შემდგომი კვლევისთვის მართვის მაჩვენებელზე და დაავადებათა გამოვლენაზე.

გახსოვდეთ: გამოკვლევები სრულიად უფასო, უსაფრთხო და კონფიდენციალურია!

შუშუნა ყანაშვილი

„გიყვარდეს მოყვასი შენი“

„გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ - გვმოდერავს და მუდამ სიყვარულისთვის მოგვინოდებს უფალი. ჩვენ კი დღითიდღე, უფრო და უფრო ვკარგავთ ერთმანეთს, უსუსურ არსებებს გამუდმებით რალაცის გვემინია, (ზოგჯერ ერთმანეთისაც კი). დღეს ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი საზოგადოება კვლავ უპირისპირდება ერთმანეთს. ორად გახლეჩილი ქართველობა მტრად მოეკიდა ერთს და შედეგად არ დააყოვნა!

მოდით ვკითხოთ: შეიძლება შევიყვაროთ მოყვასი ჩვენი? შეგვიძლია სულ მცირეოდენი რამ დავთმოთ ერთმანეთის სასიკეთოდ?

ჩვენ საკუთარ თავში მიტევების უნარი უნდა ვეძებოთ. მიტევების ძალას მოკლებული ადამიანი სიყვარულის ძალასაც მოკლებულია. ჩვენს გულში არ მოიძებნება ადგილი „მტრებისადმი“ (ანუ ადამიანები, რომლებიც ჩვენსავით არ აზროვნებენ, აქვთ სხვა თვალთახედვა და ცხოვრებისეული პოზიცია) იოტისოდენა სიყვარულისთვისაც კი. ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, რა აუცილებელია ვისწავლოთ შეწყნარება. საჭიროა მივხვდეთ, რომ ზოგჯერ, შეიძლება დავთმოთ პოზიცია, ვალია-როთ სხვისი სიმართლე, ელემენტალური მოსმენის კულტურა ვიქონიოთ და სხვისი აზრის მოსმენა შევძლოთ. უნდა შევძლოთ უნებლიე შეცდომისა თუ წყენის მიტევება. მიტევება - არ არის იმის იგნორირება რაც მოხდა, ეს არც ბოროტების სიკეთედ წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ ჩადენილი ბოროტება არ წარმოადგენს დაბრკოლებას ურთიერთობის დასამყარებლად. ყოვლის მიტევება კატახორიზატორია, რომელიც ხელს უწყობს ახალი ცხოვრების დაწყებისთვის აუცილებელი ატმოსფეროს შექმნას. ყოვლის მიტევება ტვირთისაგან განთავისუფლებაა. სიტყვებს: „მე გაპატიებთ თქვენ, მაგრამ არასოდეს

არ დავივინებ, რაც თქვენ ჩადინეთ“ - არ შეუძლიათ მიტევების ნამდვილი ბუნების ახსნა. დიახ, ადამიანს არ შეუძლია დაივინება, თუკი დაივინება იმას ნიშნავს, რომ წარსული მთლიანად იშლება მესხიერებიდან. როდესაც ჩვენ მივუტევებთ, ჩადენილ ბოროტებას ვივინებთ იმ აზრით, რომ იგი უკვე აღარ წარმოადგენს ფსიქოლოგიურ დაბრკოლებას ახალ ურთიერთობათა დამყარებისათვის. ზუსტად ასევე არ შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ: „მე მიტევებ შენ, მაგრამ, დღეიდან აღარ მინდა გიცნობდე“. მიტევება ნიშნავს შერიგებას, ხელახალ შეწყობას. ამის გარეშე არცერთ ადამიანს არ შეუძლია თავისი „მტრების“ შეყვარება. მიტევების ხარისხი განსაზღვრავს ჩვენი მტრებისადმი ჩვენივე სიყვარულის ხარისხს. სიკეთის ნიშნების პოვნა უბოროტესი მტრის ხასიათშიც შეიძლება. ჩვენ ყველანი რალაცით ვგავართ შიზოფრენიით დაავადებულებს, გაორებული პიროვნებისა და ხასიათის ადამიანებს, თითოეული ჩვენგანის შიგნით უკიდურესად სამოქალაქო ომი მიმდინარებს. რალაც შინაგანი ჩვენც გვაიძულებს რომელიც პოეტის ოვიდიუსის მსგავსად აღმოგვხვდეს: „მე სიკეთის მომხრე ვარ, მაგრამ ქცევებში ბოროტებით ვხელმძღვანელობ“, ან დავეთანხმეთ პლატონს, რომელიც ამბობდა, რომ ადამიანური ხასიათი ეს არის მეტლე, რომელიც ორ ცხენს მართავს და ორთავენი სხვადასხვა მხარეს ეწვიან ეტლს. უბრალოდ, ეს ნიშნავს, რომ ყველაზე ცუდშიც არის სიკეთის ნაწილი. ასევე საუკეთესოშიც არის ბოროტების ნაწილი. როდესაც ამას ვაცნობიერებთ, ჩვენ უფრო მიტევებლები ვხდებით ჩვენი მტრების მიმართ და ნაკლებად გვძულს ისინი, როდესაც უფრო ღრმად ვიხედებით პრობლემის არსში, ვეძებთ ბოროტი გულისნადილით ჩადენილის მიზეზს,

ვპოულობთ ჩვენს ოპონენტში სიკეთის ნიშნებს და ვხვდებით, რომ მისი ქმედების მანკიერება და ბოროტ-განზრახულობა არ გვიქმნის სრულ წარმოდგენას ამ ადამიანზე. ჩვენ მას ახალი თვლით ვუყურებთ. ვაცნობიერებთ, რომ მისი სიძულვილი შიშის, ქედმაღლობის, უვიცობის, გაუკულმართებელი რწმენის ანდა ურთიერთგაგების უქონლობის შედეგია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიცით, რომ ყოველი ადამიანი სულის სიღრმეში სიკეთის პატარა მარცვალს ატარებს. უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენი ოპონენტის არა დამარცხებას ან დამცირებას, არამედ მასთან მეგობრობას. ბოროტება ბოროტებით არ იკურნება. როგორ შეიძლება ბოროტებამ თავისი თავი დაამარცხოს, ან სიბნელე განათდეს სიბნელით?! სიბნელეს სჭირდება სინათლე, ბოროტებას - სიკეთე. ამიტომ როდესაც ჩვენდამი მტრულად განწყობილ ადამიანს მტრულად ვუპყრობით, მასში არსებულ ბოროტებას ვაძლიერებთ და ჩვენც იმავს ჩავდივართ. ამგვარად, საკუთარ თავსაც ვაზარალებთ, რადგან ბოროტებით გვევსება გული და იმ ადამიანში არსებულ ბოროტებას უფრო მეტად ვზრდით, რადგან დამატებით მიზეზს ვაძლევთ.

არაფრად გვიღირს დღევანდელ რეალობაში ადამიანის გულის ტკე-



ნა. სულ პატარა მიზეზიც საკმარისია დავუპირისპირდეთ ერთმანეთს, ვერ ვხვდებით რომ ეს დაპირისპირებები უზომოდ გვასუსტებს და სხვის წისქვილზე ასხამს წყალს. დასუსტებულს კი ადვილად დაგვეჯახნის შინაურიც და გარეულიც.

იმედია ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება პოლიტიკურ ნიადაგზე აგრესიული დაპირისპირება და ადამიანების შეურაცხყოფა. განსხვავებულ, მიუღებელ აზრს პატივს თუ არ ვცემთ, იმის უნარი მაინც გვექონდეს, საკუთარი ისე ჩამოვყალიბოთ და დავუპირისპიროთ, რომ ადამიანებს ღირსება არ შეეუღაბოთ. იქნებ გამოინახოს კომპრომისი და მოიძებნოს საერთო ენა? ამას იმ შემთხვევაში შევძლებთ თუ ვიხელმძღვანელებთ პრინციპით: „გიყვარდეს მოყვასი შენი“.

მამაზადა
ხათუნა პანაშვილი

„ქარი მწერია მე ზირდაზირი“...

„კაცი დავბერდი და დედოფლისწყაროდე ძლივს ჩამოვალნიე“ – ასე დაიწყო დედოფლისწყაროელ პუბლიკისტან შეხვედრა მსახიობმა მურმან ჯინორიამ. თუმცა, ამ სიტყვებს არასასიამოვნო რეპლიკაც მოაყოლა-ნუთუ, ასე ცოტანი ხართ დედოფლისწყაროელები? დარბაზში, რომელიც 350 ადამიანზეა გათვლილი, 90-მდე კაცი იჯდა...

მან წარმოადგინა მონო სპექტაკლი „ქარი მწყურია მე პირდაპირი“. ინსცენირება, რეჟისურა, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება მურმან ჯინორიას ეკუთვნის. ცნობილი მსახიობი სპექტაკლში თავად მონაწილეობდა. როგორც მან აღნიშნა: „ამ სპექტაკლით მინდა, ჩვენი ახალგაზრდობა მივუახლოვო ქართულ გენეტიკურ მასსოვრობას“.

მის მონო სპექტაკლებზე მუდმივი ანშლაგია თბილისში... ესწრებიან ახალგაზრდები, რომელთაც უყვართ პოეზია და, ზოგადად, ხელოვნება...

რეგიონებს იშვიათად სტუმრობს. დედოფლისწყაროში ტურნე იმიტომ დაგეგმა, რომ სწამდა, აქ ინტელექტუალური მსმენელი დახვდებოდა. მოლოდინი არ გამართლდა.

თუმცა, ისინი, ვინც მასთან შესახვედრად მოვიდნენ, ხელოვნების სიყვარულით იყვნენ გაერთიანებულნი. კომუნიკაცია მსახიობსა და დარბაზს შორის მალევე შედგა. სწორედ ამ ფაქტმა ათქმევინა მურმან ჯინორიას: „ცოტანი ხართ, მაგრამ ხარისხიანები“...

მის ხელოვნებასთან პირველი შეხება 6 წლის ასაკში მქონდა, როდესაც სატელევიზიო სპექტაკლს „ჯერ დაიბოცნენ,



მერე იქორწინეს“ ვუყურე. ქართული სცენის კორიფეების გვერდით ღირსეულად თამაშობდა ახალგაზრდა, გაზულუქებული ვაჟის როლს... მეორე შეხება კი სტუდენტობის დროს მქონდა, როცა მოვისმინე მის მიერ წაკითხული ლექსები. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მუხრანის ლექსის „ტა, ტა, ტა, ტა“ მიხეულმა ინტერპრეტაციამ მოახდინა. დიდხანს ვიყავი შთაბეჭდილების ქვეშ... ტარიელ საყვარელიძისა და გურამ სალაჩის შემდეგ მხატვრული კითხვის ოსტატობით ასე არავის მოვუხიბლივარ... ასე ვახვდი მისი თავყანისმცემელი... ხშირად ვუსმენდი რადიოში მის მიერ წაკითხულ ლექსებს. ბევრჯერ სხვაგვარად დამინახავს გალაკტიონის, ნიშნიანის, გრანელის პოეზია...

მისი ხმა არავისას ჰგავდა, ინტონა-

ცია უცნაური იყო, არავის დაავიწყდება როგორ კითხულობდა ტერენტი გრანელის ლექსებს საქართველოს რადიოს მე-9 სტუდიაში: შუა კითხვისას ემოციურად წყვეტდა სტრიქონს, წამოხტებოდა სკამიდან და იქვე სტუდიაში ბოლთას სცემდა, მეორე კი უცებ, მონყვევით მიუჯდებოდა მიკროფონს და განაგრძობდა... „გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია“. მისი ცხოვრების გზა ერთდროულად გადაეჯაჭვა თეატრს, ეკრანს, რადიოსა და პოეზიას. გადაეჯაჭვა კი არა, შეესისხლობოდა და გამთლიანდა ერთ ადამიანში, რომელსაც მურმან ჯინორია ჰქვია...

აკი ამბობს კიდევ: „რასაც არ უნდა კითხულობდე, ლექსი იქნება ეს თუ პროზა, აუცილებელია მსმენელამდე მიიტანო აზრი, ძარღვი ნაწარმოებისა, შენი დამოკიდებულება უნდა გქონდეს იმ მოვლენისადმი, რასაც ავტორი ვთავაზობს და შენი, საკუთარიც შეგქონდეს ნაწარმოებში. შენი სათქმელი თქვა. ეს არ ნიშნავს რაიმე გაუსწორო ან გრანელს, ან გალაკტიონს (ღმერთმა დაგვიფაროს), მაგრამ შენი ილია ჭვჭავაძე, შენი გალაკტიონი, გენბავთ ბარათაშვილი უნდა გყავდეს და მსმენელსაც ასეთი შეაყვარო...“

მურმან ჯინორია უშუალოდ გამოხა-

ტავს თავის იდეალებს, ყოველთვის გვეუბნება თავის სათქმელს გალაკტიონის, გრანელის, შოთა ნიშნიანის, მურმან ლეზანიძის, მუხრან მაჭავარიანის, ბარათაშვილის პოეზიით. თავის მძლავრ ხმას და პოეზიას აყოლებს თავის გულისთქმას, თავის სათქმელს.


იმ დღესაც ასე იყო. ნაკლები მაყურებლის მიუხედავად, ბოლომდე დაიხარჯა, დედოფლისწყაროელი საზოგადოება ფეხზე ამდგარი დიდხანს უკრავდა ტაშს. მასაც აღარ ეთმობოდა ისინი, კითხულობდა და კითხულობდა ლექსებს... პოეზიის ზემოთ მანაც შედგა. სულის საზრდო დააკლდა მას, ვინც იმ დღეს არ მოვიდა, ვინც დრო ვერ გამოიხატა... ვინც თავიანთი შვილები არ აზიარა ჭეშმარიტ ხელოვნებას...

„კარგი პოეზია და მასთან ზიარება ყველაზე დიდი „კაიფია“. იკითხეთ პოეზია, იარეთ სპექტაკლებზე და ნუ გაეკარებით ნარკოტიკს“ - ეს მურმან ჯინორიას სიტყვებია, რომლითაც ის მომავალ თაობას მიმართავს და კიდევ ერთხელ მიანიშნებს, სადაა სინათლე...

„სხვა მდგომარეობაში გადასვლა არის არტისტობა. მსახიობები ხშირად ცდილობენ, ტემპერამენტის ხარჯზე მოახერხონ მაყურებელზე ზემოქმედება. საბინელეზაა. ეს ემოციის ხარჯზე უნდა მოხდეს... ენერჯის ეხარჯავ კი არა, სპექტაკლის შემდეგ თითქმის ვეღარ დავდივარ, მაგრამ ტემპერამენტის ხარჯზე კი არ ვაკეთებ ამას, არამედ ემოციის. მთავარი გულწრფელობაა და შენი სინდისი. თუ ამას მისდევ, მაშინ ყოველთვის მართალი ხარ“.

ინგა შილაშვილი

სახალხო მთქმელის იუბილე ზემო ქედში



სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლში, დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრის ორგანიზებით, ცნობილი ადგილობრივი სახალხო მთქმელის, ივანე ნიკლაურის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. ღონისძიებას ფოლკლორის ეროვნული ცენტრიდან საკმაოდ წარმომადგენლობითი სტუმრები ესწრებოდნენ. საღამო ცნობილი ფოლკლორისტებს ეთერ თათარაიძესა და მის მეუღლეს, ამირან არაბულს მიჰყავდათ.

თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს შორის იყვნენ ეთნომუსიკოსი ნანა ვალიშვილი, კრიტიკოსი იოსებ ჭუმბურიძე და მწერალი როსტომ ჩხეიძე. მათ მაყურებელს მიმართეს და ივანე ნიკლაურის შემოქმედებაზე დეტალურად ისაუბრეს. საღამოს დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, დეპუტატები, სოფლების რწმუნებულები, კულტურის ცენტრის თანამშრომლები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა.

საღამოს წამყვანებმა ივანე ნიკლაურის გამორჩეულ შესაძლებლობებზე გაამახვილეს ყურადღება და აღნიშნეს, რომ მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა სახალხო მთქმელებში.

მთავარ თანაბრად (ფოლკლორის-

ტი): „ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო. მე ვიტყვით, დედოფლისწყარო ალბათ ამას არაა, რომ ჰყავს ორი უდიდესი სახალხო მთქმელი. მათი მნიშვნელობა საქართველოს მასშტაბით დიდია, რადგან ივანე ნიკლაურმა და იოსებ ბაიაშვილმა თამამად შეიძლება ითქვას, რომ გააცისკროვნეს 80-იან წლებში მთელი საქართველო თავისი იშვიათი შედეგებით. ივანე ნიკლაური და ფშაველი მელექსე იოსებ ბაიაშვილი. ორივეს ძალიან დიდი სახელი აქვს და მინდა, რომ უფრო მეტად იცოდნენ ახალგაზრდებმა ეს სახელები და მეტი მოზარდი ეცნობოდეს მათ შემოქმედებას. ღირსეულად ჩაიარა დღევანდელმა საღამომ, შეხვედრაზე ბევრი იდეა გაჩნდა, ითქვა, რომ უკეთესადაა მისახედი მისი შემოქმედება, რათა უკეთესად შემოვუნახოთ მომავალ თაობებს. მჯერა, ყველა ერთად, ერთობლივი ძალებით შევძლებთ. „ძია ივანე“ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი იყო, საკმაოდ ახლო ურთიერთობა გვქონდა და არ შემეძლო, რომ დღეს დედოფლისწყაროში, მის მხარეში არ ჩამოვსულიყავი. ის უდაოდ იმსახურებს დაფასებას და პატივისცემას, ამიტომ, როცა შევიტყვევებ, რომ მისი საიუბილეო საღამო იგეგმებოდა, წარმოუდგენელი იყო ჩვენს გარეშე ჩაველო. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრს და ოჯახს, ამ საღამოს ორგანიზებისა და მასპინძლობისთვის, ძია ივანეს გახსენებისთვის.“

ამირან არაბული (პროფესორი): „მისი პოეზია ზეპირად იციან, ივანე ნიკლაური უყვართ და ახსოვთ, ეს ცოტას არ ნიშნავს. მან ფასდაუდებელი საგანძური დატოვა და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს. მისი შემოქმედება ძალიან ღრმად და მტკიცეა და კავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან.“



ის მთებიდან და ძველისძველი ტრადიციებიდან, წინაპრებიდან მოდის. ივანე ნიკლაურს ზნეობრიობის, ვაჟკაცობისა და მორალის საკუთარი საზომი ჰქონდა. დღეს ზოგიერთი სიტყვა მკითხველს შეიძლება ეუცხოოს, ზოგიერთი მათგანი რთულად ნასაკითხია, თუმცა, მთლიანობაში ის გასაგებ ენაზეა. მის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამორჩეულია ლექსი „რამ დამაბერა“, რომლის შექმნის ისტორიის მოწმე მეც ვახლავართ. გასული საუკუნის 70-იან წლებში ექსპერტები მისი ადგილობრივი და 1972 წელს ვენეციის სოფელ არხილოსკალოს, სადაც პირველად შეგვხვდით ივანე ნიკლაურს. როცა თბილისში ვბრუნდებოდით, მან საკუთარი ხელნაწერი გაგვატანა და შესანიშნავი ლექსი „რამ დამაბერა“ პირველად სწორედ ჩვენ გამოვქვეყნეთ ალმანახ „პოეზიაში“. შემდეგ უკვე ხალხური პოეზიის საღამოზე, ვახუშტი კოტეტიშვილის წყალობით, ივანე ნიკლაური მთელმა საქართველომ გაიცნო და შეიყვარა. ბედნიერი ვარ, რომ დღეს შესანიშნავ ღონისძიებას დავესწარი, ყოველგვარი გადამეტების გარეშე ვამბობ, რადგან დღევანდელ რეალობაში ჭირს რეგიონებში ასეთი ღონისძიებების ორგანიზება და თბილისიდან ჩასვლა. უდროობის, უსახსრობის, ათასი მიზეზის გამო ასეთი რამ ხშირად ვერ ხერხდება, მაგრამ დღეს დარბაზი იყო სავსე, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ივანე ნიკლაური მარადისობასთან ნილნაყარია, თავისი სიტყვითა და მართალი ლექსებით“.

მთავარ ნიკლაური (სახალხო მთქმელის შვილი): „ჩვენი ოჯახისთვის დაუვინყარი იქნება ეს საღამო. მომავალი თაობებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარ შემოქმედებით სა-

ღამოებს. ხშირად უნდა იმართებოდეს ასეთი ეროვნული სულისკვეთებით გაუღნითი ღონისძიებები. მოზარდები რაც შეიძლება მეტად უნდა ვაზიაროთ პოეზიას და ხალხურ შემოქმედებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ამ სოფელში ჩატარდა მამას შემოქმედებითი საღამო. ასე მასშტაბურად აქ არავისი საიუბილეო საღამო არ აღუნიშნავთ და სასიამოვნოა, რომ ეს დღე შედგა. თავად მამაჩემი ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ასე მასშტაბურად ჩატარებდა უარს იტყვოდა და წინააღმდეგი წავიდოდა. ისეთი ბუნების იყო, არ უყვარდა ზედმეტი აფიშირება. ამიტომ მნიშვნელოვანია ჩვენი სოფლისთვის, რაიონისთვის და მთელი საქართველოსთვის. დიდი მადლობა ორგანიზატორებს და ყველა სტუმარს დაფასებისთვის და მამაჩემის კიდევ ერთხელ გახსენებისთვის“.

ილია მარტყოფლიშვილი (დედოფლისწყაროს კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი): „მოხარული ვარ, რომ დედოფლისწყაროს ეთერ თათარაიძე და ამ რანგის სტუმრები ეწვივნენ დედაქალაქიდან. ზოგადად, დიდი ხანია გვინდოდა მათი მონაწილეობა ფორმატშიც, თუმცა ეს ვერ ხერხდებოდა და ამჯერად, ივანე ნიკლაურთან მათი მეგობრობის წყალობით ისინი უყოყმანოდ გვესტუმრნენ. ლამაზი საღამო შედგა. დღევანდელ რეალობაში იშვიათად იმართება ასეთი ფოლკლორული საღამოები, მაგრამ ქედების ზონა ამით ყოველთვის გამორჩეული იყო. აქ სულ სხვა მუხტი და ტრადიციებია ამიტომაც ვეცადეთ ივანე ნიკლაურის საიუბილეო თარიღს ჩუმად არ ჩაველო. ვეცდებით, სამომავლოდ, ამჯერად უკვე რაიონულ ცენტრში, ივანე ნიკლაურის და იოსებ ბაიაშვილის ხსოვნის საღამო გაერთიანებული და უფრო ფართო მასშტაბით შედგეს.“

ქვემო ქედელმა ახალგაზრდა პოეტმა მარიამ ტახიშვილმა და დედოფლისწყაროელმა კოლორიტმა თამაზ ნიკლაურმა ჩვეული ოსტატობით ნაიკითხეს სპეციალურად ივანე ნიკლაურისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები და კიდევ ერთხელ მონუსხეს მაყურებელი.

რუსეთის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე

20 ივნისს და მის შემდეგ, თბილისში განვითარებულ მოვლენებს რუსეთის ფედერაციის „მოსალოდნელი უკუკავშირი“ მოჰყვა. უკუკავშირი, რომლითაც ჩვენი ჩრდილოეთი „მეგობარი“ მუდმივად „გვანებივრებს“. რუსეთის პრეზიდენტმა, რუსი დეპუტატების საქართველოდან გაძევების შემდეგ, ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმადაც 8 ივლისიდან რუსულ ავიაკომპანიებს საქართველოში რუსეთის მოქალაქეების გადაყვანა ეკრძალებათ. ინფორმაცია კრემლის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ამასთან, უსაფრთხოების მიზნით, ტურისტულ ოპერატორებსა და საავტომობილო აკრძალვის პერიოდში საქართველოში ტურისტების დაგეგმვაზე უარის რეკომენდაცია მიეცა. გარდა ამისა, ვლადიმერ პუტინმა ხელისუფლებას დაავალა, რომ საქართველოში მყოფი რუსეთის მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნება უზრუნველყო.

არსებულ მდგომარეობას, ლოგიკურად მივყავართ კითხვებამდე: რამდენადაა დამოკიდებული ქართული ეკონომიკა რუსეთის ბაზარზე, რა ალტერნატივები გააჩნია ქვეყანას, ახარალებს თუ არა ქართული ეკონომიკის რუსეთის პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რამდენად უარყოფითად აისახება ის ქვეყნის ტურისტულ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაშინ როდესაც ქვეყნის ყველა საკურორტო ზონა აქტიურ ტურისტულ ფაზაშია შესული?

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება რუსეთის ბაზრის როლი საქართველოს ეკონომიკაში. შესაბამისად, იზრდება საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულებაც რუსეთის ბაზარზე. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის აზრით, რუსეთის ამოცანაა, მაქსიმალურად გაზარდოს რუსულ ბაზარზე საქართველოს დამოკიდებულება და გააძლიეროს საქართველოს ეკონომიკის საკვანძო სექტორებში (ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ენერჯეტიკა) რუსული კომპანიების ჩართულობა. რამდენადაც რუსეთთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები უმჯობესდება, იმდენად იზრდება პოტენციური საფრთხეებიც. რუსულ ბაზარზე მზარდი დამოკიდებულება საფრთხეებს შეიცავს და უმჯობესია, ბიზნესის წარმომადგენლებმა სხვა ქვეყნების გამოცდილებაც გაითვალისწინონ. რუსეთის ბაზარი მხოლოდ და მხოლოდ დივერსიფიკაციის საშუალებად უნდა განიხილებოდეს და თავიდან უნდა ავიცილოთ მასზე დამოკიდებულება. ამის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ რუსეთი ეკონომიკური დამოკიდებულების პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენებას კვლავაც შეეცდება. ექსპერტების აზრით, მსგავსი დამოკიდებულება მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება მართლაც არ იყოს დიდი რისკების შემცველი, მაგრამ ამგვარი მიდგომა არასათანადოდ აფასებს პოტენციურ საფრთხეებს გრძელვადიან პერიოდში. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება, რუსეთის მიერ ეკონომიკური დამოკიდებულების საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენების საფრთხე კიდევ უფრო გაიზრდება, რაც საქართველოს ხელისუფლებისგან უფრო ფრთხილ დამოკიდებულებას საჭიროებს.

საქართველოს, გარდა რუსეთის ბაზრისა, აქვს უდიდესი მანძი, რომ ევროკავშირის საკმაოდ დიდი ბაზარიც აითვისოს. ამას კი DCFTA უზრუნველყოფს. რა არის DCFTA? ეს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაა (DCFTA), რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები). სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავი-

სუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.

DCFTA მოიცავს შემდეგ თავებს: საქონლით ვაჭრობა, ვაჭრობაში დაცვითი მექანიზმები, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, საბაზო და ვაჭრობის ხელშეწყობა, დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცი, მიმდინარე გადასახადები და კაპიტალის მოძრაობა, სავაჭრო შესყიდვები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, კონკურენცია, ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერჯეტიკის სფეროში, გამწვანება, ვაჭრობა და მდგრადი განვითარება, დავების მოგვარება, დაახლოების ზოგადი დებულებები. DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეხსნება



მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მოსახლეს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს უწყობს საქართველოს სამსაბრტო პოტენციალს ზრდას. საბრტო ხელს უწყობს მიგრაციის ძაბვას იმპორტიდან ექსპორტით პროდუქტის გაჩენას, ქართული მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უფლებები პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანიზების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად ისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. მართალია, ევროკავშირი ქართული პროდუქტისთვის რუსული ბაზრის კარგი ალტერნატივაა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბაზრის ეფექტურად, სრულად ათვისება გრძელვადიანი და საკმაოდ შრომატევადი პროცესია.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი ხარისხიან პროდუქტს, კაბინეტის-დისკის მწარმოებლებს და ანონიმურ-გლობალურ სწორად მოგებას ბიზნესსაც იძლევა. ქართულ მომსახურების სფეროს, კომპანიებს მიეცემა საშუალება უმეტეს სექტორებში: დაფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიანოდონ მომსახურება ევროპულ მომხმარებელს, თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და გააძლიერონ პრაქტიკა თავიანთ თანამშრომლებს, გაუფანთ თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში, მათი პროდუქტის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად, მიანოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან, ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე, ქართველ სპეციალისტებს, ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე, მიეცემა საშუალება გასწავლონ მომსახურება ევროკავშირში. შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პოლიტიკური დაუცველობის შეგრძნება ეკონომიკურ არაუქმნებშია შეფერული და წარმოდგენილია საკუთარი პოლიტიკური ამბიციების ლეგიტიმაციის მიზნით. შედეგად, როდესაც რუსული პოლიტიკა იჭრება ეკონომიკის სფეროში, უსაფრთხოების შესახებ შეკითხვები ბუნებრივად ჩნდება.

საქართველოსთვის არსებობს მეორე უმ-

სხვილესი ეკონომიკური ჩინეთის ბაზარიც. ესაა ეკონომიკური სივრცე, რომელსაც დადებითთან ერთად უარყოფითი შედეგების მოტანაც შეუძლია. საქართველოს და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი 2017 წლის 13 მაისს მოეწერა, რაც ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. თავად ფაქტი, რომ ქვეყანა უცხო სახელმწიფოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას აფორმებს, დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის შორის ბილატერალური სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაზე, სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორში თანამშრომლობის განვითარებასა და კაპიტალისა და შრომითი რესურსის ნაკადების სიხშირის გაძლიერებაზე. ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულება პოტენციურად ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების განვითარებასა და მისი დონის ამაღლებას. საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ხელს უწყობს კერძო სექტორში წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობების ფორმირებას, რაც გულსიმბობს ქართული პროდუქტის 1,4-მილიარდიან ბაზარზე გატანას, რომელიც სწრაფად მზარდი მსყიდველობითი უნარით გამოირჩევა, სადაც ფასობს კონკურენცია და მიესაღებოდა სიახლეს. თუმცა, ამ ხელშეკრულებით ჩინეთს ვაჭრობაში პოზიტივები მიენიჭა. ამის შემდეგ მას დიდი ინტერესი არ ექნება, რომ რეალურ სექტორში დიდი ინვესტიცია განახორციელოს. ჩინურ პროდუქტთან საფასო კონკურენცია რთულია და სწორედ ამიტომ ბევრი ევროპული ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანაც კი იკავებს თავს მსგავსი სავაჭრო ტიპის ხელშეკრულების გაფორმებისგან ისეთ სავაჭრო გვიანტანს, როგორცაა ჩინეთი გვევლინება. „იმისთვის, რომ ეს სავაჭრო ხელშეკრულება დადებითი ეფექტის მომტანი იყოს ქართული ექსპორტისთვის, მნიშვნელოვანია, ქართულმა სახელმწიფომ ადგილობრივ დონეზე ჩინეთში კომერციული წარმომადგენლის ინსტიტუტების შექმნისთვის გარკვეული ფინანსური რესურსი გამოიყოს, რომლებსაც კოორდინაციას ჩინეთში



ქართული საელჩო გაუწევს აღნიშნულმა კომერციულმა წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ ქართული ბიზნესისა და მათი წარმოების პოპულარიზება კონკრეტული რეგიონებისა თუ პროვინციების მასშტაბით, რადგან ცნობილია, რომ ჩინური ბაზარი დიდა და ყველა პროვინციასთან ინდივიდუალურად მუშაობაა საჭირო.“ - ნერს გამოცემა „Forbes Georgia“.

მნიშვნელოვანია ტურიზმის როლი ეკონომიკის ამ ფერულში. სხვადასხვა გეოგრაფიული თუ ისტორიული ფაქტორებიდან გამომდინარე, რუსი ტურისტებისთვის საქართველო ყოველთვის სასურველ დასასვენებელ ადგილად მიიჩნეოდა. ტურიზმის მიმართულებით რუსი ტურისტების ნაკლებობა არც ადრე იყო და არც ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება. ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში რუსი ტურისტების რაოდენობა ჯამურად სამი მილიონს აღემატება. რუსეთის მოქალაქეები სხვა მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქეებთან შედარებით, ასევე, გამოირჩევიან ყველაზე მაღალი საშუალო ხარჯით. ერთი რუსი ტურისტის საშუალო დანახარჯი ვიზიტზე, დაახლოებით, 1 253 ლარია. გამოდის, რომ 2018 წელს რუსმა ტურისტებმა საქართველოში, დაახლოებით, 1,8 მილიარდი ლარი დახარჯეს. ეკონომიკის სხვა ნაწილის მსგავსად, რუსული ტურიზმიც საკმაოდ მონყვავდა პოლიტიკური წნეხის წინაშე.

რუსეთის რეზიდენტები ასევე ლიდერობენ საქართველოში უძრავი ქონების ყიდვის მაჩვენებლით. 2012-2016 წლებში უცხოეთის მოქალაქეებზე გაყიდული 34 ათასი უძრავი ქონებიდან 53 პროცენტი რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია. „ბიზნეს სექტორთან შეხვედრებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრენების აკრძალვამ განსაკუთრებული დარტყმა ატარის რეგიონისთვის მოიტანა. ეს განსაკუთრებულად შეეხო მცირე და საშუალო ზომის მწარმოებებს. ჩვენ ესაუბრებით დიდი რაოდენობით ჯავშნების გაუქმებაზე, რომლის რიცხვითი მაჩვენებელი დაახლოებით 70-75%-ია. ბევრი კერძო და საოჯახო სასტუმროების შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები უფრო მეტად არიან დამოკიდებული რუსულ ბაზარზე, ვიდრე წარმოვედინა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენ მოილოანოდ არც ერთ ქვეყნაზე არ ვართ დამოკიდებული. დომინანტი წილი არ მორის რუსეთზე. მისი წილი 25%-ია.“ - განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მარინა ძვრიშვილიმ. გარდა ფრენებისა, რუსი ტურისტების უმეტესობა საქართველოში მოგზაურობისთვის საკუთარ ავტომობილს ან ავტობუსს იყენებს. ცნობისთვის, 2017 წელს რუსი ტურისტების 71%-მა პროცენტმა საქართველოს საზღვარი ყაზბეგში, ლარსის გამშვები პუნქტის მეშვეობით გადმოკვეთა. „თუ დავუშვებთ ყველაზე რადიკალურ სცენარს, რომ ივლისიდან საქართველოში რუსი ვიზიტორი საერთოდ აღარ შემოვა, 2019 წელს ვიზიტორების რაოდენობა დაახლოებით 8.3 მილიონი იქნება, რაც 2017 წლის მაჩვენებელზე მეტია. 2017 წელს ერთმა რუსმა ვიზიტორმა საშუალოდ 984 ლარი (400 დოლარი) დახარჯა საქართველოში. პირდაპირი საპროექტი მოსვლის შეჩერება, თუ ტურისტთა ნაკადები სხვა გზებით არ ისარგებლებდა, 2019 წელს საქართველოს შემოსავალს ტურიზმიდან დაახლოებით 100 მლნ დოლარით შეამცირებს“ - აღნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო-გამჭვირვალა საქართველო“. საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზითაც, რუსული ტურისტული ინსტიტუტის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე წლის ბოლომდე 200-300 მილიონ აშშ დოლარამდე იქნება. ამის შესახებ უწყების მიერ ლარის კურსთან დაკავშირებით გაფრთხილებულ განცხადებაშია აღნიშნული. ეროვნული ბანკის ცნობით, ეს საგარეო შოკი აისახება

საგადამხდელო ბალანსზე და შესაბამისად, კურსზეც. თუმცა, ეტაპზე, რთულია ზუსტი პროგნოზის გაკეთება, თუმცა პირველადი გათვლებით, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებას წლის დარჩენილ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა დაახლოებით 200-300 მლნ აშშ დოლარამდე იქნება. ეს საგარეო შოკი აისახება საგადამხდელო ბალანსზე და, შესაბამისად, კურსზეც. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ პირველი კვარტალის მიმდინარე ანგარიშის დღეს გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, მიმდინარე ანგარიში 2018 წლის პირველ კვარტალთან შედარებით დაახლოებით ორჯერ (207 მლნ აშშ დოლარით) გაუმჯობესდა. ეს ნიშნავს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, მათ შორის რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებითაც, წლის განმავლობაში საგარეო ბალანსი პროგნოზირებულზე მცირედით, მაგრამ მაინც გაუმჯობესდება“, - ნათქვამია განცხადებაში. ეროვნული ბანკის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საგარეო კურსზე გავლენას ახდენს სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორი, მათ შორის მოლოდინები. შესაბამისად, ინფორმაცია რუსეთიდან ტურისტული ნაკადების მოსალოდნელი შემცირების შესახებ ბოლო დღეებში სავალუტო ბაზარზეც ისახება.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო საკმაოდ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ამ გამოწვევებთან გამკლავებისთვის კი, როგორც უწყებათაშორისი კოორდინაცია, ისე უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა, აუცილებელი პირობაა. რუსეთთან ოქროს შუალედის პოვნა, ახალი ბაზრების ათვისება და ამ ალტერნატივების სწორად გამოყენება კი ჩვენი ქვეყნის ვითარებას ურთულეს ამოცანად რჩება.

მამაზადა შაშუა საწარმოებმა

პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება


უკველსი დროიდან, ანუ იმ დროიდან, როცა ადამიანებმა ერთად ცხოვრება, საზოგადოების ჩამოყალიბება დაიწყეს, დადგა პიროვნების საზოგადოებასთან ბაშუცხოების, მასთან დაპირისპირების პრობლემა. საზოგადოებრივი ცხოვრების პიროვნების განვითარებაში, მისი უშუალო სოციალური გარემოცვის - ოჯახის, აღზრდელის აკისრია, თუმცა, მათთან ერთად, ინდივიდის ღირებულებების განსაზღვრას ის სოციალური განაპირობებს, სადაც იგი ვითარდება - სკოლა, სასწავლებელი, საზოგადოება. პიროვნების იდენტობა მის მიერ საკუთარი თავის აღქმას, ის თავისებურებები, რომელიც ახასიათებს პიროვნებას და რომლებიც იგი საზოგადოების წინაშე წარსდგება. იდენტობას ასევე იყენებენ პირის მიერ ამა თუ იმ სოციალური თუ სხვა ჯგუფის მიმართ კუთვნილების განცდის აღსანიშნავად - ეთნიკური, რელიგიური და სხვა იდენტობა. თავისუფალ საზოგადოებაში პირი თავად განსაზღვრავს საკუთარ იდენტობას. მას არათუ თავს არ ახვევს სტერეოტიპულ, წინასწარ განსაზღვრულ კუთვნილებას ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისა თუ კატეგორიისადმი, არამედ პირიქით, მასთან ურთიერთობისას ითვალისწინებენ მის იდენტობას.

პიროვნების ადგილი და როლი საზოგადოებაში განსაზღვრება თავად საზოგადოების თავისებურებებიდან. ადამიანი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, რომელსაც არ შეუძლია იარსებოს სხვის გარეშე. განდევნილები კი სინამდვილეში ადამიანებით არსებობენ (გავიხსენოთ ქრისტე, რომელიც გადაამიანებული ღმერთი იყო), ამიტომ, ადამიანი სხვა ადამიანების გარეშე არარაობა იქნებოდა. ადამიანი სარკეა იმისა, რაც გარშემო ხდება. როცა საზოგადოებაში ქაოსია — ომი, რევოლუცია თუ სხვა, შეუძლებელია იჯდე და ამაზე არ იფიქრო. საზოგადოებას ვერ გაექცევი — მაღალია, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ეზო, სამსახური თუ სკოლა - შეუძლებელია მათგან გაქცევა. თუმცა... ხშირად ადამიანები საზოგადოების მონები ხდებიან, უარს ამბობენ თავიანთ ინდივიდუალურობასა და ცხოვრებაზე. ამის შედეგია განხორციელებული თვითმკვლელობა, ნერვოზი, არასრულფასოვნების კომპლექსი და სხვა უამრავი უსიამოვნო რამ. სამყარო ორ ფერშია - შინაგანი სამყარო თეთრია, ხოლო გარეგანი (რომელსაც საზოგადოება ვუწოდებთ) — შავი. არც ზედმეტი სითეთრეა კარგი და არც ზედმეტი სიშავე. ისინი თანაბრად უნდა იყვნენ გადაწვნილებულნი ისე, რომ არც სითეთრემ შეგვანახოს და არც სიშავემ.

რა ხდება მაშინ, როცა ადამიანი ცდილობს, არ გაითვალისწინოს საზოგადოების აზრი? თავისუფლება? არა, ეს უბრალოდ ილუზიაა, რომელიც საპნის ბუშტივით ქრება ზედმეტ სიმაღლეზე ასვლისას. საბოლოოდ რჩება საპნის ნაწილაკები, რომელიც ჰაერში უკვალოდ იკარგება. დაზარალებული ვინაა? ადამიანი, რომელმაც საზოგადოების აზრი დაივიწყა. თავისუფლების ილუზია კი კვლავ გზას საზოგადოებისკენ. დაზარალებულს კი რჩება არჩევანი, შექმნას თავის მინი-სამყარო. ხშირად კი მინი-სამყაროს შექმნა არაა ოლიო...

რა ხდება მაშინ, როცა ადამიანი საზოგადოების აზრზე მთლიანად დამოკიდებული? დროთა განმავლობაში ადამიანში მცხოვრები თეთრი ძალა გულის კუნჭულიდან ამოდის და ხშირად სინანულად ბრუნდება. სინანულად, რომელიც ლოგინად ჩაეარდნის, უკანასკნელ დღეებში იპყრობს ადამიანს — ხომ შეიძლება, ყველაფერი სხვანაირად მომხდარიყო... წუთუ ის უფრო მნიშვნელოვანია, მეზობლის, მაღალიის გამყიდველის ან თუნდაც, თანამშრომლის თვალში იყო კარგი ადამიანი, ვიდრე აკეთო ის, რაც გინდა? მაშ, როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან სინანულიც და გარიყვაც (იმის მტკიცება, რომ გარიყულად ყოფნა სასიამოვნოა, სისულელეა.) ბალანსით. შავი და თეთრი, გარე და შინაგანი სამყარო ზუსტ ბალანსში უნდა იქნას მოყვანილი, რის გასაყვებლადაც ნიჭი, შრომა ან ილბალია საჭირო. საზოგადოება შეცდომებს არავის პატიობს — ეს ბუნებრივია. ისეთივე ბუნებრივი, როგორც მზის ამოსვლა, სუნთქვა, დღე-ღამის ცვლილება. საზოგადოება სასტიკია. თავისუფლება? თავისუფლება, რომელიც ადამიანის ცხოვრების მიზანია... მიზნის გარეშე არსებობას აქვს კი აზრი? არა. არავითარი. ადამიანი ხომ სწორედ იმით არსობდა, მისია რომ შეასრულოს? მიზანი ჰქონდეს და მისთვის იბრძოდოს.

დღეს ჩვენი რეალობა პიროვნებებთან დაპირისპირებული საზოგადოება, ერთმანეთთან დაპირისპირებული პიროვნებები, სრული ქაოსი და გაუგებრობა. რამდენი ხანი შეიძლება გაგრძელდეს ეს?! ექნება კი ჩვენს ქვეყანაში ამ დაპირისპირებებს დასასრული?!



მომზადდა
საბუნა ბენაშვილმა

„ჩვენი მიწა, რომელიც განძია, უცხო არ უნდა დაგუთმოთ“ ...



ეს ალბათ ადვილი არ არის და გარკვეულ რისკებს მოიცავს, ძალიან საინტერესო იქნება თქვენი გამოცდილების გაზიარება ამ საკითხების ირგვლივ პირველ რიგში იმ დამწყები ფერმერებისთვის, რომლებიც დღემდე რისკებს უმინდებიან...

— უპირველესად, დაიწყეთ იქიდან, ვართ თუ არა აგრარული ქვეყანა, ანდა, რამდენად თვითმართა ქვეყანა სოფლის მეურნეობის პროდუქციით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, პასუხი მარტივია — ამ ეტაპზე არ ვართ, არადა, მნიშვნელოვანი მოცემულობაა, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

მაგრამ ვერ ვქმნით საკმარის პროდუქციას, თუმცა, რაღაც ეტაპზე შეიძლება ვიყოთ, თუ დავეხმარებით ტექნოლოგიურად და ცოდნით ფერმერებს. ყველაზე დიდი პრობლემა არის ცოდნის დეფიციტი. ის, რომ 15-20%-იანი თვითუზრუნველყოფა გვაქვს ხორბალში, არის ძალიან ცუდი! ძალიან დიდი წყვეტა გვაქვს სიტყვასა და საქმეს შორის. ვაკეთებთ ფრაგმენტულად, როცა გვინდა განვითაროთ შიდა წარმოება და ვერ ვქმნით ადგილობრივი ბაზრის განვითარების მექანიზმებს, არის შემთხვევები, როდესაც სოფლის მეურნეობის სფეროში მიღებული არაერთი განდევნილება არ ეფუძნება წინასწარ გამოკვლევას და რისკების შეფასებას.

მე ჩემი საკუთარი საქმიანობა შემთხვევით არ ამიჩვენია, მიყვარს, რასაც ვაკეთებ, ამასთან, სრულად მაქვს გააზრებული, ჩემს შესაძლებლობებს, თითოეულ ნაბიჯს და აქტივობას ფინანსური კუთხით ვზომავ. მოვემზადე ამ საქმიანობისთვის, რომელიც ჯერ კიდევ 1996 წელს წამოვიწყე. თუ გინდა იყო წარმატებული ფერმერი, კარგად უნდა ერკვეოდე ცხოველთა კვების, ვეტერინარიის, გენეტიკისა და მენეჯმენტის საკითხებში. სოფლის მეურნეობა ის სფეროა, რომლითაც შეიძლება ძალიან არ გამდიდრდე, მაგრამ აუცილებლად გაძღვეს ნორმალური ცხოვრების საშუალებას. ყოფილა ზარალის წლებიც, მაგრამ გამო-

მინახია სხვა რესურსი, რომ სიტუაციიდან გამოვსულიყავით, ხელი არ უნდა ჩაიქნო და შენი მინა, რომელიც განძია, სხვას არ უნდა დაუთმო, იმის გამო, რომ ყოველთვის შეიძლება 4 და 5 ტონა მოსავალი ვერ მიიღო. წინა წლებთან შედარებით წელს ცოტა დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ არაუშვს, მთავარია, ზარალზე არ წავიდეთ.

20 თანამშრომელი მყავს მთლიანად აქ ადგილზე დასაქმებული, ჩემი აზრით, უკმაყოფილონი არ არიან, დანარჩენი მათ კითხვით-ღიმილით გვაცვილებს ბ-ნი ბესიკი და ჩვენც იქვე, რძის გადამამუშავებელ ქარხანა „ნობეკოს“ ვენვივთ. თეთრ ხალხთში გამოიყოფილი ქალბატონი გვეგებება და საწარმოს გვათვალისწინებს, სადაც თვალში მოსახვედრი სისუფთავე სუფევს.

გულიკო მჭედლიძე, „ნობეკოს“ ტექნოლოგ-მენეჯერი-30 წელია ამ სფეროში ვარ, სხვადასხვა დროს ვემუშაობდი რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში ამ მიმართულებით და მთელ გამოცდილება ს აქ მოუყარე თავი ერთად, სადაც უკვე მეზუთე წელია მონევეთ ვემუშაობ. საწარმო საშუალო სიდიდისაა, 5-6 ტონამდე რძის წარმოება შეგვიძლია, ვანარმოებთ სულგუნს, იმერულ ყველას, ნაღულს, კარაქს. სულგუნი რამოდენიმე სახეობისა გვაქვს-ჭყინტი, ხმელი, ნელი, შემოლილი, ყველი პასტერიზირებულია ქარხნული ტექნოლოგიით. ჩვენი პროდუქცია უფლებელია და აკმაყოფილებს საერთაშორისო ნორმებს. დიდი ყურადღება ეთმობა ნედლეულის ხარისხს და რეგულარულად ხდება მზა პროდუქციის ლაბორატორიული კონტროლი, რძის მონეობა ხდება ადგილობრივი ფერმერებისგან და სისტემატურად კონტროლს ექვემდებარება სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ, აგრეთვე, ყურადღება ეთმობა

ეტყვიკვირებს. ჩვენი პროდუქციის რეალიზება ხდება როგორც ადგილზე, ასევე, თბ ილისა და ბათუმში, სადაც განსაკუთრებული მონივნებას იმსახურებს ჩვენი ყველი. მოგესხენებათ, საქმე არის ძალიან შრომატევადი, არ ვერიდებით ექსპერიმენტებს, ვცდილობთ, ნებისმიერ სახლეს შევხვედეთ პოზიტიურად და ინტერესით ამბობს ჩვენთან საუბარში ქალბატონი გულიკო.

დამშვიდობებისა გავესუბრეთ სხვა თანამშრომლებსაც და ვკითხეთ, როგორია ამ კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა სამუშაო პირობები. მათ, ყველამ მაღლივრება გამოხატეს ხელმძღვანელის მიმართ და აღნიშნეს, რომ მიუხედავად თითქოს ერთი შეხედვით ფიციხე ხასიათისა, ბატონი ბესიკი ძალიან გულისხმიერი, ჰუმანური ადამიანია და თითოეულ თანამშრომელს გვერდში უდგას ლხინსა თუ ჭირში და მხარდაჭერას უცხადებთ ყველაფერში.



მომზადდა
ილვა ხარაშვილმა

დედოფლისწყაროელ მწერლებს გიორგი ლეონიძის სახელობის პრემია მიენიჭათ



ფლისწყაროდან?

– მწერალთა კავშირის 25-ე ყრილობაზე დედოფლისწყაროდან ვმონაწილეობდით მე და ნატო ყაბაშვილი. უნდა ყოფილიყო ჯუმბერ უთრუთაშვილი და ლევან ალავერდაშვილიც, მაგრამ, სამწუხაროდ მათ ვერ მოახერხეს ჩამოსვლა. ისე დედოფლისწყაროელებს თუ გაეფუსვამთ ხაზს, უფრო მეტი ვიყავით (მაყვალა გონაშვილი და მარინე ცხვედიაშვილი). უნდა აღინიშნოს, რომ მწერალთა კავშირის ახალი თავმჯდომარეც დედოფლისწყაროელია – ქალბატონი მაყვალა გონაშვილი.

– რამდენი წევრით შეივსო მწერალთა კავშირი და ვინ არიან ის დედოფლისწყაროელი მწერლები, რომელთაც კავშირის წევრის მანდატი გადაეცათ?

– მწერალთა კავშირში დღეისათვის ექვსასზე მეტი წევრია, თუმცა კონკრეტულად ამ ყრილობაზე ახალი წევრების მიღების საკითხი არ განხილულა. ძირითად საკითხი იყო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოს არჩევა, რაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, განხორციელდა კიდევ ახალი წევრები კი დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანს“ შემოგვემატნენ: ნინო კაჭკაჭიშვილი, მარიამ ტოხიშვილი და ვახტანგ ტოხიშვილი, მათ შემოქმედებას ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ მე-7 ნომერში გაეცნობა მკითხველი, რომელიც უკვე იბეჭდება.

– რას ნიშნავს თქვენთვის გიორგი ლეონიძის პრემიის ლაურეატობა?

– გიორგი ლეონიძე ყველა ქართველი-სათვის, და მათ შორის ჩემთვის, ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტია და შესაბამისად, მისი სახელობის პრემიის მინიჭება ყველა ქართველი პოეტისათვის სასახლო და სასიხარულოა. რისთვისაც, კიდევ ერთხელ, მადლობას გადავუხადი საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ყოფილ თავმჯდომარეს – თემურ ჩალაბაშვილს, ვისი ხელმძღვანელობის დროსაც მოგვენიჭა პრემიები დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია ფიროსმანის ოთხ წევრს: ჯუმბერ უთრუთაშვილს, თამაზ ნიკლაურს, ლევან ალავერდაშვილსა და მე.

– დღეს ბევრს საუბრობენ მწერალთა სახლისა და წიგნის ეროვნული ცენტრის გაერთიანებაზე. მწერალთა ერთმა ნაწილმა ამ რეფორმას პოიკოტი გამოუცხადა და უკან გადადგომულ ნაბიჯად შეაფასა. თქვენ რას იტყობდით ამ საკითხთან დაკავშირებით?

– სიმართლე გითხრათ, ცოტა უცნაური გადამწყვეტილებაა ორი წარმატებული ორგანიზაციის გაუქმება და გაერთიანება. ასევე არა სწორია იმ პოტენციალის დაკარგვა და გამოუყენებლობა, რომელიც ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და თანამშრომლებმა დააგროვეს წლების განმავ-

ლობაში შესაბამის სფეროში თავდაუზოგავი მუშაობით. ყოველ შემთხვევაში, როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებ საკითხი უფრო გამონაკლისის შემთხვევაში და გადაწყვეტილების სარგებლობის უფრო მეტ განმარტებას საჭიროებს, რომ „პოსტფაქტუმ“ ისედაც აღელვებულ საზოგადოებაში დამატებითი პროტესტის კერა არ შეიქმნას.

– მწერლობის როლი ყოველთვის გამორჩეული იყო საქართველოში, მწერლის სიტყვას ერის ხმაც უწოდებდნენ. რა ხდება დღეს, რეალისტურია თუ არა ქართული მწერლობა?

– თანამედროვე ქართული ლიტერატურა ფრიად მრავალფეროვანი პალიტრით გამოირჩევა, რეალისტურიც არის, სიურრეალისტურიც და ფანტასტიკურიც, სხვა მართლმადიდებელზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მწერალი კი გარკვეულწილად ერის სულია და ფსიქოლოგიის მკვლევარია და მისი სიტყვა და რჩევა გონიერი მმართველისთვის (და მთელი ერისთვისაც) ყოველთვის ანგარიშგასაწევი და ყურადსაღებია. თუმცა, დღეს მწერლის სიტყვა ნაკლებად დაფასებული, ვიდრე წინათ. შესაბამისად, არც პრობლემების სიმცირეს ვუჩივით.

გაზეთი „მირაჟი“ ულოცავს ჩვენს თანამემამულე მწერლებს საპატიო ჯილდოს და წარმატებებს უსურვებს მათ შემოქმედებით გზაზე.

სულ ახლახან ჩატარდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის 25-ე ყრილობა. მასში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის წევრები. აღსანიშნავია, რომ ოთხ მათგანს: ჯუმბერ უთრუთაშვილს, თამაზ ნიკლაურს, ლევან ალავერდაშვილსა და გიორგი ნატროშვილს გიორგი ლეონიძის სახელობის პრემია მიენიჭა. გთავაზობთ ინტერვიუს დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ ხელმძღვანელთან გიორგი ნატროშვილთან.

– რამდენი დღეაგატი მონაწილეობდა მწერალთა კავშირის ყრილობაზე დედო-

ჩექ-ინ-ჯორჯია – მირზაანში

„ჩექ ინ ჯორჯია“ პროექტის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ფესტივალი „ეზიარე ფიროსმანს“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კახეთის სამხატვრო სკოლების მოსწავლეები და ფოლკლორული ანსამბლები, ასევე, კონსტიტუციური წარმოდგენით გაცოცხლებული ფიროსმანის ნახატების გმირები. ღონისძიებას ნიკო ფიროსმანის შთამომავლებიც ესწრებოდნენ. ფესტივალზე ღირსეულად წარსდგნენ დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლის მოსწავლეები და კულტურის სახლთან არსებული ვიკალურ საკრავიერო ანსამბლი გელა გველუკაშვილის ხელმძღვანელობით და ზემო მარზაანის კულტურის სახლის ანსამბლები.

„მეჩვენება, რომ მიტოვებული იყო მირზაანი, თავის სახლ-მუზეუმთან ერთად. ჩვენმა ასოციაციამ გადაწყვიტა, აზიაროს ბავშვები ფიროსმანს. გვინდა, გამოვაცოცხოთ ეს ადგილი, ეს მხარე და რაც მთავარია, მოვიზიდოთ აქ მეტი ადამიანი, ტურისტები და ვაჩვენოთ ეს არაჩვეულებრივი მუზეუმი“, – განუცხადა გაზეთ „მირაჟს“ ხელოვან ქალთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ნანა ლომიძემ.

ხელოვან ქალთა ასოციაციის წარმომადგენლების განცხადებით, ფიროსმანის მშობლიურ სოფელში მსგავსი ტიპის ღონისძიება ტრადიციული გახდება და ყოველ წელს ჩატარდება.

დალი აბაშიძე (ფიროსმანის მუზეუმის მმართველი): „ბავშვები არიან მოხვედრის მთელი კახეთიდან, რათა კიდევ ერთხელ ვაზაროთ ფიროსმანს. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მხატვრობით დაინტერესებული მოზარდებიც გვწვებიან და სწორედ ამ ეზოში ხატავენ. მათი ნამუშევრები მუზეუმში დარჩება და შევინახავთ, მომავალ წელს კიდევ რომ დახატავენ, ყველა მათგანს ექნება შესაძლებლობა ნახოს, რამდენად გაიზარდა შემოქმედებითად წლიდან წლამდე. ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ჩვენთვის, მომავალი ფიროსმანები უნდა აღმოვაჩინოთ და გამოვავლინოთ. მუდმივად ვცდილობთ, მეტი ახალგაზრდა მოვიზიდოთ ამ ეზოში და მირზაანი გახდეს ხელოვნების ეპიცენტრი“.

ბელა ლოკვაზანიძე (მირზაანელი მხატვარი): „მიმარჩია, რომ სოფელ მირ-

ზაანისთვის ასეთი დღესასწაულები მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, ხშირად ჩატარდება და აქტიურ სახეს მიიღებს. ფიროსმანი უფრო მეტად წარმოჩინდება და შედეგად მირზაანიც. სოფელი ტურისტულად უფრო უნდა განვითარდეს, ფიროსმანის ფაქტორი ადგილობრივებმა უფრო მეტად უნდა გამოიყენონ, რომ სოფელმა მიგრაცია და სიღარიბე დაძლიოს. მეტი დამთავალიერებელი უნდა ჰყავდეს ამ მუზეუმს, ფიროსმანის შემოქმედებასაც მეტი ადამიანი გაეცნობა. ამიტომ ყველა გაგებით აუცილებელია ამგვარი აქტივობებისა თუ ფესტივალების ჩატარება და დიდ მნიშვნელობას იძენს როგორც მირზაანელებისთვის, ისე მუზეუმისთვის.“

ილია მარტყოფილი (დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრის დირექტორი): „მნიშვნელოვანი ღონისძიება გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონიდან არაერთი სამხატვრო სკოლის ბავშვები მონაწილეობდნენ, დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა ტოლი არავის დაუდეს და ძალზე ეფექტური ნამუშევრები შექმნეს. ჩამოსული სტუმრები, მათ შორის ორგანოზატორები და ასოციაციის ხელმძღვანელები სასიამოვნოდ გაკვირვებულნი დარჩნენ ამ ბავშვების შესაძლებლობებით. ასევე დიდი ავტობუსებით უცხოელი ტურისტების დიდი ჯგუფები იმყოფებოდნენ, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ და აქებდნენ ჩვენს ბავშვებს, მადლობას უხდოდნენ და ფოტოებს იღებდნენ მათთან. არა მხოლოდ ხატვით გვახსებულს დედოფლისწყაროელმა ბავშვებმა, მუსიკალური მხარეც როგორც



ყოველთვის, ამჯერადაც ძლიერი გექონდა. მადლობა თითოეულ მათგანს და მათ პედაგოგებს, რომ ასეთი ნიჭიერები არიან და სამომავლოდ კიდევ დიდი წარმატებები მიიღებენ ვუსურვო. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ ხელი შევუწყოთ და კიდევ უფრო განვავითაროთ მათი შესაძლებლობები“.

ნიკოლოზ აბაშიძე (სამხატვრო სკოლის მოსწავლე): „მე ნიკალას „მეზოვე“ დაეხატე, როცა ორგანიზატორებმა არჩევანის თავისუფლება მოგვცეს, მინდოდა მეზოვე დამეხატა და სწორედ ეს ავირჩიე. დღევანდელ ფესტივალზე ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ვაცნობიერებ, რომ ამ ადგილს ძალიან დიდი ისტორია აქვს, საოცარი წარმოსადგენია, რომ ნიკალა ამ ადგილზე ცხოვრობდა და ამ ეზოში ხატავდა. ამიტომაც ჩემთვის დიდი პატივია, რომ წლების შემდეგ მისი ნამუშევრის დახატვას მე ვცდილობ“.



ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ოროთახიანი ბინა ლოჯიის მისამართზე – რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 31, ბინა 9, მეორე სართული. ბენდინგის სადგურ „სოკარი“-ს წინ.
☎ 555 23 26 80, იკითხეთ ეკა.

იყიდება საჯარო რეესტრის მალა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებულია ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით.
დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ
☎ 591092478

ამინდი		დედოფლისწყარო	
ორშაბათი 08.07 დღე	სამშაბათი 09.07 ღამე	ოთხშაბათი 10.07 დღე	ხუთშაბათი 11.07 ღამე
☀ 21°	☁ 20°	☀ 25°	☁ 18°
☀ 21°	☁ 20°	☀ 23°	☁ 21°
☀ 26°	☁ 24°	☀ 27°	☁ 20°
☀ 22°	☁ 18°	☀ 18°	☁ 17°

გამომცემელი შპს „მირაჟი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი (ყურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი); ნინო ზანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „მირაჟის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.